



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“

„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ („Defteri Mufassali Vilayeti Tiflis“), ქართლის სამეფოს აღწერის დავთარი, შედგენილი 1728 ოსმალთა მოხელეების მიერ ფისკალური მიზნით. „დავთარში“, რიც წარმოდგენილია ორ წიგნად, აღწესებულია 1600-მდე ერთეული. ორივე იწყება აღწერილი სოფლების სახელთა სარჩევით. წიგნი I მოიცავს გორის ყაზას დაქვემდებარებულ საციციანოს (34 სოფ.), პეტრეს (41 სოფ.), საამილახოროს (163 სოფ.), არაგვისა და ქსნის (52 სოფ.) ნაპიეებს, მუხრანის ლივას (45 სოფ.), თრიალეთის ყაზას (83 სოფ.), გომარეთს (17 სოფ.), გუჯარეთს (16 სოფ.), ყაიყულის (51 სოფ.), ავლაბრის (12 სოფ.) ნაპიეებს; წიგნი II – საბარათიანოს (524 სოფ.), ბაიდრის (56 სოფ.), დემირჩი ჰასანლის (80 სოფ.) ნაპიეებს, სომხითის ლივის (132 სოფ.), ტაშირის (47 სოფ.) და ფანბაკის ნაპიეებს (91 სოფ.), აღჯაყალას ლივას (64 სოფ.), ინჯას (56 სოფ.), ჩოვდარის (64 სოფ.), აღსთა აბადის (76 სოფ.), თურქეთის (34 სოფ.) ნაპიეებს. საძიებელს მოჰყვება ძირითადი ტექსტი – სოფლების და სხვა საგადასახადო პუნქტების სახელები, გადასახადის გადამხდელთა და კომლის უფროსთა საკუთარი და მამის სახელები, იშვიათად აღნიშნულია მათი ხელობა-საქმიანობა. ჩამოთვლილია სოფლის მეურნეობის პროდუქტები, გადასახადის სახეობები, მათი რაოდენობა და ღირებულება. აღნიშნულია შეწერილი გადასახადის ფულადი რაოდენობა. „დავთარი“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთრივ თბილისის ისტ. გეოგრაფიის, ონომასტიკის, ეკონ., დემოგრაფიის, კონფესიისა და საქალაქო ყოფის შესასწავლად. ქალაქი აღწერილია უბნებისა (ციხის რაბათი, თოფხანე, დაბაღხანე და ა. შ.) და სამრევლოების (სიონი, ანჩისხატი, ვანქი, ფეთხანინი და სხვ.) მიხედვით. თანაბრად განვითარებული ჩანს ვაჭრობა, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. აღნიშნულია მოხელეთა (მ. შ. ოსმალების) საქმიანობა და გასამრჯელოს რაოდენობა. „დავთარი“ ოსმალთა ხანის (1723–35) ქართლის სოც. ვითარების, ეკონ., ტოპონიმიკის, ეთნ. შედგენილობისა, კონფესიური ვითარებისა და სხვათა შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა.

პუბლ.: Тифлис Әјалетинин Муфәссәл Дәфтәри (Борчалы вә Газах, Кириш, терчумә вә гәјдләрин муәллифи Шәһин Мустафәјев), Бакы, 2001; 1728 нҗлис тбйлисис ვილაღეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტის ფაქსიმილე ქართული თარგმანით გამოსცეს ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, ნგ. 1-2, თბ., 2009-10.

**ც. აბულაძე**

---